

ნაზმნარი სახელების (მასდარების) წარმოება არაქართული ფუძეებისგან ტექნიკურ ტერმინოლოგიაში

რუსუდან ზეკალაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ელ. ფოსტა: rusudan.zekalashvili@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-5820-8618>

აბსტრაქტი. სტატიაში შესწავლილია ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში გამოყენებული უცხოურფუძიანი ნაზმნარი სახელების (მასდარის) წარმოების საშუალებები, მათი ადაპტაციის ხერხები ქართულად. საკვლევი მასალა ეყრდნობა ლექსიკონებს, კერძოდ, 1972 და 1988 წელს გამოქვეყნებულ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს (რედ. დვალი, ღამბაშიძე), რომლებიც მეცნიერთა მთელი გუნდის დიდი შრომის შედეგად გამოიცა. ნაშრომში ნასახელარ ტერმინებში გამოყოფილია რამდენიმე გავრცელებული ყალიბი: -ებ და -ავ თემისნიშნის, რომლებსაც ყველაზე ხშირად ახლავს და- ზმნისწინი (და+ფუძე+ებ, და+ფუძე+ავ), თუმცა მეტ-ნაკლებად გვხვდება გა-, გან-, გამო-, შე-, წა- ზმნისწინებიც და უზმნისწინო წარმოებაც. ყურადღება მიქცეულია იმაზე, რომ და- ზმნისწინის უპირატესობა ამ უცხო ფუძეების გაქართულებისთვის განპირობებულია მისი სპეციფიკური სემანტიკით: ნეიტრალური მიმართულების გამოხატვის უნარით. ეს ასეა არა მარტო ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, არამედ სალიტერატურო ენასა და ზეპირმეტყველებაშიც. გარდა ნასესხებუფუძიანი ტერმინებისა, განხილულია სემანტიკური ადაპტაციით (თარგმნითი კალკირებით) მიღებული ლექსიკური ერთეულებიც (მაგ., დაჯვარება...).

საინტერესოა დასახელებული ფორმებისგან ნაზმნარი ზედსართავი სახელების (მიმღებობის) წარმოების შესაძლებლობები. დადასტურებულია მიმღებობათა ყველა წარმოება, მათ შორის – უარყოფითი ფორმებიც, თუმცა ლექსიკონში გასაგები მიზეზების გამო შეტანილია მხოლოდ მათი ნაწილი, განსაკუთრებით ხშირად – -ულ-სუფიქსიანები. მიმღებობის ფუნქციითვე გვხვდება -ად სუფიქსიანი წარმოებაც, მაგრამ ის თითქმის არაა გამოყენებული ზმნისწინიან ფორმებთან (**კოქსვალი – coking; აბსორბირებადი – absorbing; absorptive; დეგრადირებადი – degenerative**).

ტექნიკურ ლიტერატურაში გაქართულებული ნაზმნარი სახელები (უმეტესად მასდარებთან) გამოყენებულია არსებითი სახელების სახით, იშვიათია ზმნური ფორმები, ამის ნაცვლად ქართულ სამეცნიერო ტექსტებში გავრცელებულია შემდეგი სტრატეგია: ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები: ნაზმნარი სახელი + მიმდინარეობს, წარმოებს, ხორციელდება, გრძელდება და სხვ. ამის მიზეზია ტერმინოლოგიის სპეციფიკა, რომ ასეთი სიტყვები ზმნის უღლებად ფორმებში თითქმის არ გვხვდება (მაგ., მიმდინარეობს დააგრეგატება და სხვ.).

საკვანძო სიტყვები: ტექნიკური ტერმინოლოგია; ნაზმნარ სახელად ქცევა; წარმოების მოდულები; ზმნისწინები.

შესავალი. განსახილველი პრობლემა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფონზე ძალზე აქტუალურია, რადგან შეისწავლის ახალი სამეცნიერო ტერმინების წარმოების სტრატეგიებს და აანალიზებს ამ მხრივ ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში არსებულ მდგომარეობას.

კვლევის მიზნები გულისხმობს ტერმინოლოგიაში ნასესხები სიტყვებისთვის დერივაციული სტრატეგიების გამოცდილების გააზრებას და მისი პერსპექტივის შეფასებას.

კვლევის მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან შეფასებულია თანამედროვე ვითარება და დასახულია გარკვეული ამოცანები. განხილული სტრატეგიები გამოდგება უცხოური (ძირითადად, ინგლისური) ფუძეების მქონე სამეცნიერო ტერმინების გაქართულებისთვის.

ნაშრომის მიზანია ნასესხები ფუძეების ადაპტაციის ხერხების აღწერა ქართულ სამეცნიერო ენაში, კერძოდ, ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. ამ მიზნით გამოყოფილია ნაშმნარი სახელების ყალიბები და ახსნილია ნაწარმოები ფორმების სემანტიკური თავისებურებები ზმნისწინთა ფუნქციების გათვალისწინებით.

თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართველი ენათმეცნიერების (აკაკი შანიძის, 1973; 1981; ლევან კიკნაძის, 1946; მანანა ტუსკიას, 2014; ნათელა მუზაშვილის, 2016; ნანა ლოლაძის, 1998; როგნედა ღამბაშიძის, 1986; მარინე ოსაძის, 2016 და სხვათა) ნაშრომები ნასახელარი ზმნებისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის წარმოების შესახებ.

ბოლო დროს გაიზარდა ენათმეცნიერთა ინტერესი ნასესხები სიტყვების (კერძოდ, ნასესხები ზმნების) ადაპტაციის პრობლემებზე, რადგან ეს საკითხი გლობალიზაციის გამო უაღრესად აქტუალური გახდა (მაგ., ამირიძე, 2018; კობაიძე, 2021; ზექალაშვილი, 2025 და სხვ.), თუმცა ნაკლებად ექცევა ყურადღება ნაშმნარი სახელების (მასდარის) წარმოებას.

საკვლევი მასალა: ანალიზი ძირითადად ეფუძნება ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს, იქ შემავალ ქართულ და რუსულ ტერმინოლოგიას, მოშველიებულია ტექნიკური სამეცნიერო ტექსტებით.

საკითხის შესწავლის ისტორია: ქართულ ლინგვისტიკაში კარგა ხანია ყურადღებას აქცევენ უცხო ენებიდან ლექსიკის შესხების მიზეზებსა და სახელებისგან ზმნების წარმოებას (შანიძე, 1981), ამასთან დაკავშირებულია ტერმინოლოგიური დერივაციის საკითხებიც (ღამბაშიძე, 1986; ოსაძე, 2016 და სხვ.).

ქართულ ენაში უცხო ენებიდან ნასესხები მრავალი სიტყვა გამოიყენება: ზოგი უცვლელი ფორმით, ზოგი – გაქართულებული. მე-20 საუკუნეში განსაკუთრებით გახშირდა რუსული ენიდან ნასესხები სიტყვების გამოყენება, მაგრამ მხოლოდ მათი მცირე ნაწილი გახდა სალიტერატურო ქართულის კუთვნილებად.

აუცილებელია იმის დადგენა, არის თუ არა ეს პროცესი ნეგატიური ტერმინოლოგიისთვის. თვით ენა ყოველთვის ცდილობს უცხო სიტყვებისა და ფუძეების გაქართულებას: შესაბამისი პრეფიქსებითა და სუფიქსებით, ტექსტებში – სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლების შესაძლებლობებით.

მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულია აღწერითი, შედარებით-შეპირისპირებითი, სემანტიკური ანალიზი მეთოდები, მოშველიებულია სტატისტიკური მეთოდიც.

მსჯელობა.

1. ნასესხები ფუძის შემცველი ნაშმნარი არსებითი სახელები (მასდარები) ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში

როგორც ცნობილია, ყოველი ენა დროთა განმავლობაში იცვლება, განსაკუთრებით ეხება ეს ლექსიკას, რომელიც დღითი დღე იზრდება ისტორიული განვითარების განმავლობაში ახალი ერთეულების შესხების ან მათი ადაპტაციის გზით. ამ პროცესს კიდევ უფრო აჩქარებს დღევანდელი ეპოქა, რადგან ენათა კონტაქტები სულ უფრო დიდია და, ცხადია, სიტყვების შესხებაც სულ უფრო

ინტენსიური ხდება. ეს ეხება როგორც სალიტერატურო მწიგნობრულ ქართულს, ისე ზეპირმეტყველებას (მათ შორის, სლენგს) და, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო ტერმინოლოგიას.

ენაში ისტორიული განვითარების განმავლობაში ყალიბდება სიტყვაწარმოებითი მოდელები, რომელთა საფუძველზე იქმნება ახალი სიტყვები და ხდება ნასესხები ლექსიკის ადაპტაცია არსებულ ენობრივ სისტემასთან. სამეცნიერო ტერმინოლოგიაში შეუძლებელია უცხოური ფუძეებისა და სიტყვების სესხებაზე უარის თქმა. ეს განპირობებულია დარგის სპეციფიკით.

რა თქმა უნდა, უზარმაზარი მუშაობა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ტერმინთა გასაქართულებლად, მაგრამ შეუძლებელია ყველა ტერმინისთვის მხოლოდ ქართული შესატყვისის მოძებნა. ევროპულ ენებშიც ამ ლექსიკურ ერთეულთა უმრავლესობის ფუძეები ლათინურია (ზოგიერთ დარგში – ბერძნული), მათ უწოდებენ ინტერნაციონალიზმებს. სპეციალისტების მიერ ხაზგასმულია, რომ „ტერმინთა მნიშვნელოვან ნაწილს დღეს ნასესხები სიტყვები, მეტწილად კი, ინტერნაციონალიზმები შეადგენს, რომლებიც შედიან სხვადასხვა ენის ტერმინოლოგიურ სისტემებში, როგორც მზამზარეული ენობრივი ერთეულები თავიანთი მნიშვნელობებითა და სემანტიკური სახესხვაობებით“ (ოსაძე, 2016, გვ. 5).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლექსიკოგრაფიაში დიდი სამუშაოა ჩატარებული ტექნიკური ტერმინების დასახვეწად და ტერმინოლოგიური ლექსიკონების შესადგენად.

ამჯერად განვიხილავთ ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას, მასში გამოყენებული უცხოური ფუძეების შემცველ ნაზმნარ სახელებს და მათი გაქართულების სტრატეგიებს.

თუკი სალიტერატურო ენასა და ზეპირმეტყველებაში ინგლისური სიტყვების მომრავლება არ მიიჩნევა დადებით მოვლენად და ვცდილობთ მათი გამოყენებისგან თავის არიდებას, „სესხება ტერმინოლოგიაში მეტად აქტიური საშუალებაა და ერთგვარად მისი განვითარების შემაპირობებელიც“ (ოსაძე, 2016, გვ. 5).

ტერმინოლოგიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არსებით სახელებს ან ნაზმნარ არსებით სახელებს (მასდარებს) და ტერმინოლოგიური სისტემა ლექსიკური ერთეულებით სწორედ მათი წარმოების გზით მდიდრდება (იხ. ამის შესახებ ღამბაშიძე, 1986, გვ. 61-68).

2. ნასესხები ფუძეების ადაპტაციის საშუალებები ტერმინოლოგიაში

ქართულში ნასესხები ფუძეებისგან ზმნების ადაპტაციის ორი ტიპი გამოიყოფა. პირველი განპირობებულია ენობრივი საშუალებების ეკონომიურობით: ზმნის სინთეზური, ორგანული ფორმები ყალიბდება ნასესხები ფუძისგან ქართული ზმნური აფიქსების გამოყენებით. ამ სტრატეგიას ენაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს **საერთაშორისო** (უმეტესად ლათინური) ნასესხობების ადაპტაციისთვის:

საერთაშორისო ფუძეებისგან ზმნების/მასდარების ადაპტაციის დროს ყველაზე გავრცელებულია **და-** ზმნისწინი. ამის მიზეზია მისი ზოგადი, ნეიტრალური მნიშვნელობა. ცნობილია, რომ ყველა ზმნისწინს აქვს სხვადასხვა ფუნქცია, მაგრამ მთავარია მიმართულების ჩვენება. მართალია, და-ს შეუძლია გამოსატოს მიმართულება ზემოდან ქვემოთ, მაგრამ მისთვის ძირითადია ახალი ზმნებისა და ნაზმნარი სახელების წარმოება (იხ. შანიძე, 1973, გვ.).

ნასესხები ფუძეებისგან ახალი მასდარები იწარმოება ქართული აფიქსების გამოყენებით, მაგრამ, განსხვავებით სალიტერატურო ქართულისა და ზეპირმეტყველებისგან, ტერმინოლოგიაში ასეთი ფორმები იშვიათად იუღლება.

3. ნასესხები ნაზმნარი სახელების (მასდარების) მოდელები

ნასესხები მასდარების მოდელებში განსაკუთრებით გავრცელებულია ქართული ზმნისწინი **და-** (გვხვდება სხვა ზმნისწინებისც), ფუძეს ემატება თემის ნიშანი **-ებ** (ზოგჯერ კი **-ავ**). ადაპტაციის

იგივე საშუალებები გამოიყენებოდა ლათინური ან ბერძნული ფუძეების ნასესხობებისთვის, მაგრამ ასეთი სიტყვები დიდი ხანია ინტერნაციონალიზმებად მიიჩნევა და ქართული ენის ძირითადი ლექსიკის ნაწილია.

ა. ადაპტაციის პირველი მოდელი: და- ზმნისწინიანი

ესაა და- ზმნისწინის გამოყენება -ებ თემის ნიშანთან ერთად, რომელსაც ემატება მასდარის მაწარმოებელი სუფიქსი -ა: **PRV-R-THS-Suf (და-R -ებ-ა)**

დაელექტროება, ელექტრიზაცია – электризовать, электризация – electrification; electrization.

დააგრეგატება – агрегатирование – aggregation.

დააზოტება, ნიტრირება – азотирование, нитрирование – nitration.

დაანკერება – анкерование, анкеровка – anchorage.

დაანოდება – анодирование – anodization; anodizing.

დაარომატება, გასურნელოვნება – ароматизировать – aromatize, გერმ. Aromatisieren.

დაბალასტება – балластировка – ballasting.

დაბეტონება – бетонирование, бетонировка – concreting.

დაბრიკეტება – брикетирование – briquetting.

დადისკოება – дискование – dialing; diskling.

დაეკრანება – экранирование, экранировка – ground effect; insulation; masking; screening.

ზოგჯერ ფუძეს ემატება -იან დერივაციული სუფიქსი:

-იან+ებ+ა:

დაოზონიანება, გაოზონიანება, ოზონიზაცია – озонизация, озонирование – ozonization.

დახაოიანება – ворсование, ворсовка – teasing.

დაგაზიანება, დააირება – газирование, загазирование, загазование – gassing, aerated.

ბ. ადაპტაციის მეორე მოდელი

ერთმარცვლიან ფუძეებთან და- ზმნისწინი გამოიყენება -(ა)ვ თემის ნიშანთან ერთად, ავ იკუმშება მასდარის -ა სუფიქსის დართვისას და გვხვდება მხოლოდ -ვ-ა: **PRV-R-THS-Suf (და- R -(ვ)ა):**

დაკვალვა, მონიშვნა – разбивка, бороздование – furrowing.

დაკვანტვა – квантование – quantification; quantization.

დაღამვა – заиление, заиловка – silting.

დამორვა – раскряжовка bucking; crosscutting, распорцовка (მერქნის) – разделка древесины.

დამუხტვა – заряд; зарядка; заряджение – charging.

დანადმვა – минирование – minining.

დაპლომბვა – пломбировка, пломбирование – sealing, seal integrity.

დარგოლვა, შერგოლვა – кольцевание – cross-feeding; cyclization.

დასალტვა, მოსალტვა, შებურვა – ошиновка – bus system; buses.

დაღორღვა, შეღორღვა – бойка щебня – driving.

დახორვა, დახორავება – нагромождение, аккумуляция – pile.

იშვიათად გვხვდება გა- ზმნისწინიც:

გაგოზვა, შეგოზვა – замазка – filling; mastic; puttying.

გარდა ქართული თემისნიშნის წარმოების მოდელისა, ლექსიკონებში მითითებულია უცხოური ან (იშვიათად – ქართული) **სინონიმები:**

დაალუმინება, ალიტირება – aluminizing; – calorizing; mollerizing; დაარომატება –

გასურნელოვნება – aromatize; დაგრაფიტება – графитизация – graphitization; გააღგორითმება,

ალგორითმიზაცია – алгоритмизация – algorithmization; გაუმინოება, განმინვა – расстекловывание – devitrification.

აღსანიშნავია, რომ ასეთ ნაშმნარ სახელებში ლექსიკონებში დასტურდება სხვა ზმნისწინებიც და მაშინ ხაზი ესმება ზმნისწინის პირველად ფუნქციას: მიმართულების ჩვენებას (ხშირია მათი გამოყენება ქართულ ნათარგმნ ფუძეებთან):

ამო- (შიგნიდან გარეთ ან ქვევიდან ზევით მიმართულება): ამონიხბვა, გამონიხბვა, ამოღება – *выгреб rake, raking*; ამოკირვა, შემოკირვა – *обмуровка – brickwork; setting*; ამოჩამჩვა, ამოხაპვა – *зачерпывание – ladling; scooping*.

გან- (ტერმინში ხშირად გამოხატავს საპირისპირო ცნებას: შდრ.: დამაგნიტება – განმაგნიტება): განმაგნიტება *размагничивание demagnetization, demagnetizing, degaussing*; განბლოკირება *разблокировка unlocking*; განთითება, განშტოება *развилка bifurcation*; განლამბა *дешламация desludging*; განხრაზნა, მოშვება, დაშლა – *развинчивание, разбирание, развертка unscrewing*; განმოქლონვა – *расклепывание, расклепка; отклепывание – unriveting, cupping*.

გა-: გააღგორითმება, ალგორითმიზაცია – *алгоритмизация – algorithmization*.

გამინება – *аминирование – amidating, amidation, amination*.

გამო- (მიმართულება შიგნიდან გარეთ): გამონიხბვა, ამონიხბვა, ამოღება – *выгреб – rake, raking, casspool*; გამოფლატვა გამორეცხვა, ძირის გამოთხრა – *подмыв, подмывание – washing*; გამომარილება – *отсаливание – salting out*.

გადა- (ხელახლა მოქმედება): გადავალცვა – *перевальцевание – rolling to death*; გადამაგნიტება – *перемагничивание – flux reversal, magnetization reversal, reversal, switch, magnetization switching, switching, flux transition*.

მი-: მიტუმბვა – *подкачка drink, roll-in, swap, swapping, upload*.

მიმო- (აქეთ-იქით მოქმედება): მიმოქლონვა – *приклепка – riveting*.

შე-: შეკილოება შებნევა, შეკვრა – *застегивание – closing*; შეფიცვრა – *опалубка; подшивка – boarding*; შებიჯება, ბიჯის შედგმა – *подпирать – bear, carry, promote, support, sustain*; შერგოლვა, დარგოლვა – *кольцевание – (ხეების) girdling, ring-barking, (ფრინველების) ringing*; შეტბორვა – *подтопление – waterlogging*; შეზეთვა, გაპოხვა – *смазка – lubrication action; lubricant; oiling*.

შემო- (გარედან შიგნით და ირგვლივ): შემოკირვა, ამოკირვა – *обмуровка – brickwork envelope, casing, serving, walling-up*; შემოგოხვა, ამოგლესა – *обмазка, обмазывание – daubing, doping*; შემოჩარხვა, გაჩარხვა, მოხარატება – *обточка, обтачивание – circular job*.

ჩა- (ზევიდან ქვევით და შიგნით): ჩაგლინვა, ჩატკეცა – *закатать – wrap roll*; ჩაკვერვა *зачеканка – blade footing, crown setting (of diamonds)*.

ასეთ ტერმინებში შედარებით ცოტაა სხვა ზმნისწინები, თუმცა გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ტიპის ნასესხებ ლექსიკაში. ამ დროს გადამწყვეტია სიტყვის სემანტიკა, რამდენადაა შესაძლებელი ნაშმნარ სახელში რაიმე სახის მიმართულების ჩვენება.

4. ნაშმნარი სახელების გამოყენება ზმნურ-სახელურ შესიტყვებასთან ერთად სპეციალურ ტექსტებში

ტერმინოლოგიაში ნაშმნარი სახელის (მასდარის) სპეციალურ ტექსტში გამოყენებისას არსებობს ადაპტაციის ერთი **საშუალება**: ანალიტიკური ფორმების მოშველიება, როცა ნასესხები სიტყვა დგას დამხმარე ზმნასთან, ე. წ. **ვერბალიზატორთან** ერთად. ყველა ასეთი დამხმარე ზმნა დესემანტიზებულია და ქმნის ე. წ. ზმნურ-სახელურ შესიტყვებას (იხ. შამელაშვილი-ზექალაშვილი, 2010). ნაშმნარი სახელი გამოდის ე. წ. **ფორმალურ სუბიექტად ან ობიექტად**, ძირითადი ზმნური სემანტიკაც მასში ჩანს, ვერბალიზატორი კი გამოხატავს ზმნურ ფუნქციებს ყველა საჭირო კატეგორიით: პირს, რიცხვს, კილოს, გვარს...

ასეთი დამხმარე ზმნების ნაწილი აქტიური მოქმედებას გამოხატავს, ნაწილი – პასიურს, მაგ.: ახდენს (ACT) – „ის ახდენს“; ხდება (PASS) происходит – „იქცევა“; აწარმოებს (AKT) производить, продуцировать – „ის აწარმოებს (ან ატარებს)“; წარმოებს (MED) производиться – „მიდის, აგრძელებს“; ახორციელებს (ACT) realize – осуществлять; ხორციელდება (PASS) осуществляться – „რეალიზებულია“.

შეიძლება შეგვხვდეს დროის ხანგრძლივობის გამომხატველი ან სხვა ზმნებიც: მიმდინარეობს, გრძელდება, გეგმავს, აგრძელებს, ამთავრებს, წყვეტს...

ტექნიკურ ტექსტებში გამოყენებულია ადაპტაციის ყველა შესაძლებლობა: ორგანული წარმოება, სიტყვების აღწერითი კომბინაცია (ზოგჯერ თარგმნითი კალკირებაც). განსაკუთრებით ხშირია ისეთი ფორმების წარმოება ზმნებისგან, რომლებიც ბოლოვდება **ირ-** (-ირ-ება) სუფიქსზე:

ინვესტირება: დააინვესტირებს, ინვესტირდება, ინვესტირებას ახდენს/აწარმოებს, ინვესტირება ხდება/ წარმოებს... (მდრ.: გერმ. investieren).

რეგისტრირება: დაარეგისტრირებს, რეგისტრირდება, რეგისტრირებას ახდენს/აწარმოებს; რეგისტრირება ხდება.

ფიქსირება: აფიქსირებს, ფიქსირდება, დაფიქსირებას ახდენს/ აწარმოებს/ახორციელებს, დაფიქსირება ხდება/წარმოებს/ხორციელდება.

5. სიტყვაწარმოების შესაძლებლობები იმავე ფუძის სიტყვებისგან

ცნობილია, რომ ნაზმნარი არსებითი სახელები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება გვარის მიხედვით, ცხადია, არც პირის ნიშნებს დაირთავს, შესაძლებელია მიმღეობათა წარმოება, თუმცა წარმოების მიხედვით მათი ყველა ტიპი ვერ იქნება შეტანილი ტერმინოლოგიურ ლექსიკონში.

მიმღეობებში (მიმღეობების წარმოების შესახებ დაწვრილებით იხ. ოსაძე, 2016, გვ. 103-117) გამოიყოფა უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები:

მ- (-ავ თემის ნიშნიანი): მკვანტავი – квантователь – quantizer, მპლომბავი – пломбировавший – plomber, მფილტრავი (საფილტრავი, საწური) – фильтрующий – cleaner, filtering, filtrate, მშტამპავი – штамповщик – puncher, pressman.

უზმნისწინო: მაპროექტებელი – проектируемый – estimated; projected; projectible; მასინქრონებული – синхронизируемый, хронизируемый – synchronized.

ზმნისწინიანი: მ(ა)-ულ: განმამაგნიტებელი – размагничивающий – bucking; (კაბელი) degaussing cable; დამაცემენტებელი – цементирующий – binding, cementitious; მაფოკუსირებელი – фокусируемый – driven.

ზმნისწინიანი: გამომტუტავი – выщелачивающий – leaching; leaching-out.

-ირ სუფიქსის შემცველი: მარეგულირებელი, მომწესრიგებელი – регулировщик – regulator; регулирующий – adjusting, control, governing, potentiometric, regulatin.

-იზ სუფიქსის შემცველი:

მაპოლარიზებელი – поляризующий – polarizing;

-ულ: დააგრეგატებული – агрегированный – packaged; unitized;

დაიონებული – ионизированный; ионизованный – ionized;

დაბაკელიტებული – бакелизованный – bakelized;

დაბარიუმებული – барированный – barium-coated; bariated;

დაკარბიდებული – карбидированный – carbilized; (კათოდი) tungsten-carbide cathode;

დაემულსიებული – эмульгированный, эмульсированный – emulsified;

დარეზინიანებული – обрешиненный – coated, rubber, rubberised;

-ირ სუფიქსის შემცველი: ნიტრირებული, დააზოტებული – нитрированный – nitrated

-იზ სუფიქსის შემცველი:

გალვანიზებული – гальванизированный – galvanized,

პასტერიზებული – пастеризованный – (pasteurization) pasteurized

სა-ელ: საპროექტებელი – проектируемый – estimated; projected; projectible; სარეგულირებელი, რეგულირებადი, საწესრიგებელი – регулируемый – adjustable; controllable; controlled; regulable.

უკუთქმითი მიმღობა:

უ-: დაუშუნტავი – нешунтированный – unshunted.

უ-ელ: დაუკალიბრებელი – некалиброванный – calibrated, (ლილვი) gauged

მინაარსით მიმღობებთან ახლოს დგას **-ად** დაბოლოებიანი წარმოება (მაგ.: ამობურცვადი, ხსნადი, წყვეტადი):

ჭედადი – ковкий вольфрам – ductile, malleable, pliable, pliant, (ვოლფრამი) wrought;

ხსნადი – растворимый, растворяющийся – dissoluble, resolvable.

გვხვდება როგორც **ქართულ**, ისე **უცხოურ** ფუძეებთან:

მდგრადი – устойчивый – fast, firm, inconvertible, persistent;

გამოფიტვადი – выветривающийся; истощимый – exhaustible, depletable;

დაბალღნობადი – низкоплавкий – low-melting, soft, depletable;

დაბრკოლებამდგრადი – помехозащитный, помехоустойчивый – noiseproof; jamproof.

უცხოურ ფუძეებთან ზმნისწინიანი ფორმები იშვიათად იძებნება:

კოქსვადი – коксующийся – coking,

აბსორბირებადი – абсорбирование – absorbent; absorbing; absorptive;

დეგრადირებადი – деградирующий – degenerative;

დეფორმირებადი – деформируемый – deformable; deformed;

დეფიბრირებადი – дефибрирование – defibering.

დასკვნა. ქართულში **ლათინურ და ბერძნულ** სიტყვების სესხებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ტერმინოლოგიაში ბევრი ზმნა და ნაზმნარი სახელი იწარმოება უცხო ენებიდან ნასესხები ფუძეების გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს წარმოშობით საერთაშორისო (ლათინური ან ბერძნული) ან ინგლისური სიტყვები (ადრე სესხება რუსულიდან ინტენსიური იყო, თუმცა იქაც ფუძეთა უმეტესობა ინტერნაციონალური გვხვდებოდა).

რუსულში ასეთი საერთაშორისო სიტყვები წარმოებულია სუფიქსით **-ировать**. ქართულში რჩება **-ირ**, რომელსაც ემატება ზმნური თემის ნიშანი **-ებ**, ბოლოს კი – **ა** (მასდარის მაწარმოებელი). ზოგჯერ გამოყენებულია ორი ვარიანტი: სუფიქსი **-ირებ-ა** ან ნასესხებია **-ცია**-თი დაბოლოებული მთელი სიტყვა: ფიქსირება და ფიქსაცია, რეგისტრირება და რეგისტრაცია,...

ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ნასესხები ლექსიკის ჭარბი გამოყენება სალიტერატურო ენაში უარყოფით პროცესადაა შეფასებული, სამეცნიერო ტერმინოლოგიაში კი მისაღები და აუცილებელიცაა. ქართველი ტერმინოლოგები არ იშურებენ ძალისხმევას ტერმინთა გასაქართულებლად ტრადიციულად დამკვიდრებული მოდელების მოშველიებით.

შეჯამება: ტერმინოლოგიური სისტემა უცხოური ფუძეებისგან ახალ ლექსიკურ ერთეულთა საწარმოებლად იყენებს იმავე ყალიბებს, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ქართულ სალიტერატურო ენასა და ზეპირმეტყველებაში (მათ შორის – სლენგშიც). ეს გამართლებულიცაა და შესაძლებლობას იძლევა, რომ ქართული ტერმინოლოგიური ბაზა კიდევ უფრო გამდიდრდეს, შეივსოს და ფეხი აუწყოს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, გაზარდოს ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა ნასესხები ფუძეების გამოყენებით.

ერთის მხრივ, ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ სისტემაში უცხო სიტყვები შეიძლება იყოს უცვლელად გადმოტანილი ანუ ნასესხები; მეორე მხრივ, ეს სიტყვები გამოიყენება ნაზმნარი სახელის (მასდარის) ფუძედ ქართული ზმნისწინისა და ზმნური თემის ნიშნის დამატებით; სამეცნიერო ტექსტებში კი ვერბალურ-სახელურ შესიტყვებასთან ერთად გვხვდება სახელადი ნაწილის სახით. მაგ.: ფიქსირება ან ფიქსაცია; ზმნურ ფორმებად: აფიქსირებს/ფიქსირდება (ის აფიქსირებს; ფიქსირებას ახდენს – ფიქსირება ხდება); მიმღეობები: დამფიქსირებელი, ფიქსირებული, დასაფიქსირებელი, დაუფიქსირებელი; ასიმილირება – ასიმილაცია; ზმნურ ფორმებად: ასიმილირებს, ასიმილირდება; ასიმილაციას ახდენს – ასიმილირება ხდება; მიმღეობა: ასიმილირებული და ა. შ.

ქართულ ნასესხებფუძიან ნაზმნარ სახელებთან დაკავშირებული პროცესები ენის განვითარების ერთსა და იმავე ტენდენციებზე მოწმობს და უნდა განვიხილოთ, როგორც ენობრივი კონტაქტებისა და სამეცნიერო პროგრესის შედეგი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- Amiridze Nino (2018). Accommodating loan verbs in Georgian: Observations and questions: *Journal of Pragmatics*, Volume 133, August 2018, 150-165. <https://doi.org/10.1016/j.pragma.2018.02.008>
- Zekalashvili, Rusudan (2019). Strategies of Loan Verbs Accommodation in the Georgian Language: (Bridging Languages and Cultures. Linguistics, Translation Studies and Intercultural Communication) ... (TransÜD Book 104), Verlag: Frank & Timme, 2019, 71-94.
- ზექალაშვილი, რ. (2025). ნასესხებფუძიანი ზმნები ახალგაზრდულ მეტყველებაში ქართულში: *ქართველური ენათმეცნიერება*, XI, 2025 (გვ. 109-121).
- Zekalashvili, Rusudan (2025). The Verbs with Borrowed Stems in the Speech of the Young People: *Kartvelian Linguistic*, XI, 2025, 109-121.
- კიკნაძე, ლ. (1946). ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში: *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 28, 1946 (გვ. 163-178).
- Kobaidze Manana (2021). Recently borrowed English verbs and their morphological accommodation in Georgian, 2021, 59-71.
- ლოლაძე, ნ. (1998). ნასახელარ ზმნათა მოდელები თანამედროვე ქართულში: *საენათმეცნიერო ძიებანი*, ტ. VII, თბილისი (გვ. 80-93).
- მუზაშვილი, ნ. (2016). *ნასახელარი ზმნები ძველ ქართულში*: თბილისი, ენათმ-ის ინსტიტუტი, 2016 (133გვ.).
- ოსაძე, მ. (2016). *ტერმინთა სესხება-ადაპტაციის საკითხები ქართულ ენაში*: თბილისი: ენათმ-ის ინსტიტუტი, 2016 (147გვ.).
- ტუსკია, მ. (2014). ნასახელარ ზმნათა ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე ენობრივი სიტუაცია): *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წ. 14, 2014 თბილისი (გვ. 143-158).
- ფეიქრიშვილი, ჟ. (2009). ნასახელარი ზმნების წარმოება-ფუნქციისათვის თანამედროვე ქართულში): *ენათმეცნიერული ძიებანი*, თბილისი: უნივერსალი, 2014.
- მამელაშვილი-ზექალაშვილი, რ. (2010). ვერბალიზატორთა ფუნქციისათვის ზმნურ-სახელურ შესიტყვებებში თანამედროვე ქართულში: *საენათმეცნიერო ძიებანი*, XXXI, 2009, თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“, 2010 (გვ. 199-208).
- მანიძე, ა. (1973). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბილისი: თბ. უნ-ტის გამომც., 1973 (672გვ.).
- მანიძე, ა. (1981). *ნასახელარი ზმნები ქართულში*: თხზულებანი, ტ. 2 თბილისი: თბ. უნ-ტის გამომც., 1981 (გვ. 39-48).
- ტექნიკური ტერმინოლოგია* (რუსულ-ქართული ნაწილი), რედ. აკად. რ. ღვალის და დოც. რ. ღამბაშიძე: თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1977.

ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული ნაწილი), რედ. აკად. რ. ღვალაი და დოც. რ. ღამბაშიძე:
თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1982.
ტექნიკური ლექსიკონი: <https://techdict.ge/ka/about/>
ქართული ტერმინთბანი:
<https://termbank.ice.tsu.ge/ka/qtb/terminology>
Русско-английский технический словарь: <https://rus-eng-technical-dict.slovaronline.com/>